



**საკასაციო
შესაბამელი
ადმინისტრაციულ საქმეზე**

საქართველოს უზენაეს სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამის ადგილი

საქმე №ბს-1484-1466(2კ-11)

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
კასატორის სახელი, გვარი (სახელწოდება)

ლევან მურუსიძე

მომხსენებელი მოსამართლის სახელი და გვარი

მოწინააღმდეგე მხარე:

ქ.თბილისის მთავრობა სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ფ.შარტავას ქ-№7	ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)	
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი			
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი:

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი		
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი			
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა
---------------	-------------	----------	-------------------

კალდებულის ბარს თქვენი შესაგებელი საკასაციო საჩივარსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები საჩივრისთვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სააკელაციო საჩივრისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

ეთანხმებით თუ არა საკასაციო მოთხოვნას (განაცხადს)?

დიახ

არა

ნაწილობრივ

რომელ ნაწილში?

მიგანჩიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ რის საფუძველზე?

არა

მიგანჩიათ თუ არა, რომ სასამართლომ საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ რის საფუძველზე? სსსკ-ის 191.5 მუხლის თანახმად განსახილველი საქმე სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევების გარეშე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

მიგანჩიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ რომელი საფუძველით?

არა

ხომ არ აპირებთ შეგებებული საკასაციო საჩივრის აღძვრას?

დიახ რომელი საფუძველით?

არა

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასაციის მიზეზით (საფუძვლებზე)

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასაციის მიერ მიტითებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებზე

კასატორი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებად მიიჩნევს სსსკ-ის 394-ე მუხლის "ე" და "ე" პრიმა ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საფუძვლებს. კერძოდ: გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო საჩივრის შესაბამისი გრაფების მართლოდენ აღნიშვნა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არ ნიშნავს და არ ადასტურებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს მიერ მიტითებული ნორმების დარღვევას. საკასაციო საჩივარი აღნიშნული არ არის რატომ არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება არასრული, ან რაში გამოიხატება გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიულად არასაკმარისი დასაბუთება.

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასაციის მიერ მიტითებულ დარღვევებზე, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილება

საფუძველს მოკლებულია და არ უნდა იქნეს გაზიარებული კასატორის მოსაზრება გადაწყვეტილების სამართლებრივ უსწორობებთან დაკავშირებით. კერძოდ:

1. არასწორია კასატორის მიტითება სასამართლოს მიერ ასკ-ის 1.2 და სსსკ-ის მე-10 მუხლების გამოყენების თაობაზე, ვინაიდან არ არსებობს განსახილველ საქმეზე მიტითებული ნორმების გამოყენების საფუძველი. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ ნორმის დანაწესიდან გამომდინარე მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს კასატორის მიერ მიტითებული სსსკ-ის მე-10 მუხლის გამოყენების საფუძველი, ვინაიდან აღნიშნული ნორმით უზრუნველყოფილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებათა შესრულების სავალდებულობა. მოცემულ შემთხვევაში განსახილველი დავის საგანია საჯარო ინფორმაციის გადმოცემის დავალდებულება ქობილისის მთავრობისათვის, რაც დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

2. არასწორია კასატორის მიტითება სსსკ-ის 106-ე მუხლის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, რადგან აღნიშნული ნორმის თანახმად დამტკიცებას არ საჭიროებენ ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 9 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მხარეებს წარმოადგენდნენ ასოციაცია "შწვანე ალტერნატივა" და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხოლო განსახილველ საქმეზე მხარეებს წარმოადგენს ასოციაცია "შწვანე ალტერნატივა" და ქობილისის მთავრობა ანუ სახეზე არ არის საქმეში იგივე მხარეების მონაწილეობა, რაც გამორიცხავს განსახილველ საქმეზე სსსკ-ის 106-ე მუხლის დანაწესის გამოყენების აუცილებლობას.

3. საკასაციო სასამართლოს ყურადღებას მივაქცევთ ასკ-ის 34.3 მუხლის "ბ" პუნქტს, რომლის თანახმადაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. მიტითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე დასაშვებია სასამართლოს მიერ ამ კატეგორიის საქმეებზე მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება. მით უფრო მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 9 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად დავის საგანს წარმოადგენდა 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულების, მისი დანართებისა და შეთანხმება №1-ის ვაცემის დავალდებულება, აქედან ხელშეკრულება და დანართები სრულად არის განთავსებული სსიპ საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე საჯარო გაცნობისათვის. ხოლო განსახილველი დავის საგანია ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის

გაცემის დაუღლებულება, რომელიც გარემოსდაცვით ინფორმაციას წარმოადგენს.

4. არასწორია კასატორის მოსაზრება მასზედ, რომ სასამართლო გასცდა დავის საგნის ფარგლებს, როდესაც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებით - შეიცავს თუ არა ხელშეკრულება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს - მიიჩნია გარემოსდაცვით ინფორმაციად, რომლის გასაიდუმლოებაც დაუშვებელია. მიგვანჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ სწორად გამოიყენა საერთაშორისო აქტებითა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმები. სასამართლომ ასევე სწორად გამოიყენა სსსკ-ის 248-ე მუხლი და გადაწყვეტილება გამოიტანა მითითებული ნორმით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. სარჩელით და საქმის სასამართლო განხილვით უდავოდ არის დადასტურებული, რომ საჯარო ინფორმაციის გადმოცემის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას ასოციაცია "შწვანე ალტერნატივას" მოითხოვდა იმ საფუძველით, რომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას. სასამართლოს მსჯელობა დავის საგნის საფუძვლების შესახებ არამცდარაამც არ ნიშნავს სასამართლოს მიერ სსსკ-ის 248-ე მუხლის დანაწესის დარღვევას.

4. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მიგვანჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები
კასატორის მიერ მითითებულ პრეტენზიებზე**

პირველ პრეტენზიას - ვეთანხმები
დასაბუთება:

მე-2 პრეტენზიას - ვეთანხმები
დასაბუთება:

მე-3 პრეტენზიას - ვეთანხმები
დასაბუთება:

შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?
დიახ ვის მიმართ? რის საფუძველზე?
არა

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომაზე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ მორიგების პირობები: მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემის პირობით.

არა რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

დანართი 1:

დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა —

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?
ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

ატვირთვის ბმული:

<http://tbappeal.court.ge/fs>

<http://tbappeal.court.ge/fs>

საიდენტიფიკაციო ნომერი:

ელ. ფოსტა: 3rd.instance@court.ge

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ხელმოწერა

ასოციაცია "შწვანე ალტერნატივა"-ს
აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე
ხელმოწერის სახელი, გვარი

04/11/2011 წ.

შეხვედის თარიღი

შეესებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.